ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №8/2
(გრანტის ფარგლებში საქონლის შესყიდვაზე გამარტივებული საშუალებით)

ქ. თბილისი 27 იანვარი 2012 წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორეს მხრივ შპს „კომპანია Geosm", წარმოდგენილი დირექტორის, თეიმურაზ ახობაძის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსყიდველი უკვეთავს, ხოლო მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველს TEMPUS-ის პროექტის „დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში" გრანტის ფარგლებში დანართში (დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) მოცემული საქონლის (cpv 30100000) მიწოდებით.

2. საქონლის მიწოდების წესი და ღირებულება

2.1. მიმწოდებელი აწვდის დანართში მოცემულ საქონელს.
2.2. საქონლის ერთეულის ფასი მოცემულია დანართში.
2.3. მიწოდების ვადაა 2 დღე მოცემული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.
2.4. ხელშეკრულების ფასი შეადგენს 1351.31 (ერთი ათას სამასორმოცდათერთმეტი ლარი და 31 თეთრი) ლარს.
2.5. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.
2.6. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის გადაცემა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, ანგარიშ-ფაქტურით და სასაქონლო ზედნადებით.
3.2. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.
3.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, 5 სამუშაო დღის განმავლობაში, საქონლის მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან.
4.2. ანგარიშსწორების განხორციელებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები. ასევე გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი.
4.3. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:
5.1.1. დროულად უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება და დასაწყობება.
5.1.2. უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
5.2. მიმწოდებელი ვალდებულია:
5.2.1. პასუხი აგოს მიწოდებული საქონლის ხარისხზე.
5.2.2. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით.
6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე კონტროლს განახორციელებს სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის უფროსი.

10. დამატებითი პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

“შემსყიდველი”

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ასათიანის 7
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703
თი ბი სი ბანკი, კოდი TBCBGE22
ა/ა GE34 TB11 0000 0000 609 229

“მიმწოდებელი”

შპს „კომპანია Geosm“
ლ. ყაზბეგის გამზ.№47
საიდენტიფიკაციო ნომერი 404873614
ს/ს პროკრედიტ ბანკი, კოდი MIBGGE22
ა/ა GE45PC02 236 001 000 108 27

თსსუ-ის კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

დირექტორი
თეიმურაზ ახობაძე

დანართი

№	საქონლის დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	ფაილი	შეკვრა	5	4.60	23.00
2	საბეჭდი ქაღალდი ა4 80 გრ	შეკვრა	50	7.90	395.00
3	სარეკლამო ბურთულიანი კალამი	ცალი	150	1.00	150.00
4	ბურთულიანი კალამი	ცალი	30	0.28	8.40
5	ფანქარი საშლელით	ცალი	20	0.13	2.60
6	დაფის მარკერი	ცალი	30	0.74	22.20
7	კლავიატურის და მონიტორის საწმენდი, 100 ცალიანი	შეკვრა	2	7.45	14.90
8	კლიპი 32 მმ	ცალი	10	0.15	1.50
9	სტეპლერი 24/6	ცალი	5	2.98	14.90
10	სტეპლერის ტყვია 24/6	შეკვრა	10	0.33	3.30
11	ფლიფჩარტის დაფა	ცალი	3	106.95	320.85
12	„ფლიპჩარტის“ ქაღალდი	ცალი	10	7.25	72.50
13	დაფის საშლელი	ცალი	6	1.12	6.72
14	დაფის მაგნიტები	ცალი	3	1.30	3.90
15	სამკერდე ბეიჯი ზონრით	ცალი	120	1.70	204.00
16	ლაზერის სანიშნებელი	ცალი	7	5.12	35.84
17	კონვერტი ა4 წარწერით	ცალი	110	0.60	66.00
18	კონვერტი ა4	ცალი	30	0.19	5.70
	სულ:				1351.31

თსსუ-ის კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

შპს „კომპანია Geosm“-ის დირექტორი
თეიმურაზ ახობაძე